სანდრო ასათიანი

ქაოსიდან კოსმოსამდე



სანდრო ასათიანი

ქაოსიდან კოსმოსამდე

სანდროს წიგნები
2021

რედაქტორი: ანა ჯაბაშვილი
ილუსტრაციები: სანდრო ასათიანი

გამომცემლობა: „სანდროს წიგნები“
www.sandroasatiani.com

სარჩევი

წინასიტყვაობა 3

ქაოსიდან კოსმოსამდე 5

ყველაზე სექსუალური პროფესია 13

ჯადოქარი 23

შეხვედრა ლევიათანთან 29

ოფისების ამაოება 37

ხელოვნური ინტელექტი 43

ქეშმარიტი მასწავლებელი 47

შუშის ქილა 55

ციფრული სამოთხე 61

ნახატებით საუბარი 73

უკვდავება 81

წინასიტყვაობა

სანდრო ასათიანის წიგნი „ქაოსიდან კოსმოსამდე“ მცირე მოთხრობების, მე ვიტყოდი, იგავების ნაკრებია. თანამედროვე მანუსკრიპტი, სადაც ზოგან მინიშნებებით, ზოგან პირდაპირ მითითებულია ფრაზები, სურათ-ხატები და სიტყვები, რომლებიც სატრანზიტო პუნქტების დანიშნულებას ასრულებს terra incognita-ში, ციფრულ ტერიტორიებზე, სადაც ან ჯერ არავის დაუდგამს ფეხი, ან უკვე მანდაა და სჭირდება ფსიქოგეოგრაფიული, ინტერაქტიული გზამკვლევი, „მინიშნებები“, რათა იპოვოს „ჭეშმარიტი მასწავლებელი“ ან უსაფრთხო გზა კომპიუტერული თამაშის საბოლოო ტურისკენ, სადაც მისთვის უამრავ საიდუმლოს აეხდება ფარდა.

„ცხოვრება რაღაცით კომპიუტერულ თამაშს ჰგავს. თამაშის მთავარი გმირის მოულოდნელობებით სავსე თავგადასავალი იწყება. მას მუდამ არჩევანის

გაკეთება უწევს. თითოეულ არჩევანს, თავის მხრივ, ახალი მოულოდნელობა მოსდევს. არავინ იცის, სად მიიყვანს მას თამაში, გასხივოსნებულ გამარჯვებამდე თუ მოულოდნელ დასასრულამდე.

ციფრულ ტექნოლოგიებს, ისე, როგორც არასდროს, სჭირდება თავისი, ახალი მითოსი. მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიები სინათლის სიჩქარით ვითარდება, ჩვენ, ადამიანები, ჯერ კიდევ ვცხოვრობთ უძველესი არაცნობიერი არქეტიპების რეალობაში, სანდრო ცდილობს, ეს არქეტიპები ციფრულ სამყაროში აღმოაჩინოს და, თუ შესაძლებელია, მათი ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიებს მისადაგებული ვერსია გამოიგონოს. «hevel havalim» — გაკვრით ამბობს ამ ფრაზას კრეატიული რეკლამის შემქმნელი და ჩვენ გვესმის ექო ათასეული წლების წინ დაწერილი ტექსტისა. სინამდვილეში, კაცობრიობის არაცნობიერში ჩაკოდირებული არქეტიპები დღემდე ფუნქციონირებს ჩვენს სიღრმეებში, მთავარი ისაა, როგორ შევძლებთ მათ გამოყენებასა და მანიფესტაციას ახალ, ციფრულ სამყაროში.

თავად სათაური „ქაოსიდან კოსმოსამდე“ მიგვან-

იშნებს კიდევ უფრო საინტერესო რამეზე: ძველ მითოსებში პირვანდელი ქაოსიდან (რომელიც თავის თავში პოტენციურ კოსმოსებს უკვე შეიცავს) – კოსმოსს (წესრიგს), როგორც წესი, კულტურული გმირები ან დემიურგები ქმნიან.

ისინი, ვინც დღეს კოდს სწავლობს, ციფრულ სამყაროებს, ჩეთბოტებს, აპლიკაციებსა და პროგრამებს ქმნიან – სწორედ რომ ახალგაზრდა დემიურგები არიან, პატარა ღმერთები, რომლებიც ქაოსს აწესრიგებენ, რათა მისგან კოსმოსი, ახალი წესრიგი შექმნან.

ამგვარად, ეს წიგნი ამ ახალგაზრდა დემიურგებისთვისაა განკუთვნილი.

ალქიმიკოსებისა თუ ჯადოქრების ყველა ძველი აუხდენელი ოცნება, დღეს ამ დემიურგების კლავიატურებზე იქმნება, შელოცვები კოდებმა შეცვალა, ეზოტერიკული კაბალისტური გამოთვლები – კომპიუტერების მათემატიკური გამოთვლების სიმძლავრემ, ანგელოზების (რაც ბერძნულად ნიშნავს „მაცნეს, მესენჯერს) გამოცხადებები – ჩეთბოტებმა და

ვირტუალურმა რეალობამ, ინიციაციის პრაქტიკები – სახელმწიფო „ლევიათანთან“ შეხვედრამ, მედიტაციები – კომპიუტერულმა თამაშებმა, ღვთაებები – ხელოვნური ინტელექტის ვირტუალურმა არსებებმა, ტაძრები – სერვერებმა.

„ახალგაზრდა ჯადოქრის თვალწინ, კომპიუტერის ეკრანზე მის მიერ შექმნილი სამყარო იყო გამოსახული“, წერს სანდრო და ოსტატურად ჟონგლიორობს უძველესი არქეტიპებითა და ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებით.

წიგნის მთავარი ხიბლი სწორედ ამ უძველესი არქეტიპებისა და ტექნოლოგიური სინგულარობისკენ მიმავალი კაცობრიობის ერთმანეთთან შეზავებაა, ტექსტი ყოველ წინადადებაში იტოტება რამდენიმე სატრანზიტო პუნქტად, სადაც სხვადასხვა საგანძურია შემონახული. თანამედროვე დემიურგის თუ კულტურული გმირის მისიაა, არსებული ქაოსიდან ის კოსმოსი შექმნას, სადაც ყველანი სრულიად ახალ, შეუცნობელ, საიდუმლოებებითა და გამოცხადებებით სავსე რეალობაში მოვხვდებით. ისტორიის არცერთ ეტაპზე ჩვენ არ გვქონია მსგავსი ილუმინ-

აციური, ღვთაებრივი შესაძლებლობები.

ახალგაზრდა დემიურგო, ნუ შეუშინდები მახეებსა და ხაფანგებს, რომელსაც სოციალური თუ კულტურული პროგრამირება გიდებს წინ, გაშიფრე ეს მანუსკრიპტი და გაბედე შექმნა რაღაც რევოლუციური, რაღაც დიდი, რაღაც მაგიური, რაც შეცვლის „რეალობას“, ისეთს, როგორსაც მას ვიცნობთ, ვინაიდან მოვიდა დრო, თავს მოხვეული რეალობა რადიკალურად შეიცვალოს და ჩვენ შევაბიჯოთ ტექნოლოგიური მაგიის სამყაროში. ყველაფერი შენს ხელთაა, კლავიატურაა შენს ხელთ.

სანდრო ასათიანის ეს წიგნი კი გზამკვლევია ამ საოცარ მოგზაურობაში.

ზურა ჯიშკარიანი

ქაოსიდან კოსმოსამდე

ქაოსი

ფურცლები საქაღალდიდან ამოიღო და ირგვლივ შემოკრებილი თანამშრომლების წინაშე, მაგიდაზე ჩანახატების დალაგება დაიწყო. მათ განმარტებები მოაყოლა. ისე ემოციურად ჰყვებოდა, რომ ჩანახატები თითქოს ამოძრავდა და ანიმაციად გადაიქცა.

კადრში მოჩანს ახალგაზრდა კაცი, რომელიც მარკეტში შედის. შემდეგ ყველაფერს ამ ტიპის თვალებით ვხედავთ: დახლებს, უამრავ სხვადასხვა ფერის, ზომის, ფორმის შეკვრას. ერთ-ერთ თუნუქის ქილას ადამიანის ხელი უახლოვდება. კადრი ჩერდება. კადრში ჩანს თუნუქის ქილა.

მაგიდის ირგვლივ შეკრებილთაგან ვიღაცამ იკითხა:

— რა წერია ქილაზე? — და ამოიკითხა წარწერა: hevel havalim.

— ეს ისე, პირობითად წერია. პირველი, რაც მომივიდა თავში, ის დავწერე: hevel havalim. ირგვლივ შემოკრებილებს გადახედა, ისევ მაგიდაზე დალაგებული ფურცლებისკენ დახარა თავი და გააგრძელა:

კადრები სწრაფად იცვლება. მარკეტის მოლარე, ბანკის პლასტიკური ბარათი ტერმინალზე, ქვითარი, პოლიეთილენის თეთრი პარკი მწვანე წარწერებით. ქუჩა, სადარბაზო, სახლის კარი, შესასვლელი, სამზარეულო.

კადრში ისევ ის ტიპი ჩანს, რომლის თვალითაც ვხედავდით სამყაროს. გაზქურაზე ქვაბს დგამს. თავს ხსნის მაღაზიაში ნაყიდ თუნუქის ქილას, რომელსაც პირობითად აწერია: hevel havalim.

თუნუქის ქილიდან ქვაბში გამჭვირვალე სითხეს ასხამს, ანთებს გაზქურას და ქვაბში იყურება.

ნელა, ნელა სითხეში ორთქლის თეთრი, გამჭვირვ-



ალე ღრუბლები იბადება. უფორმო ღრუბლები ერთმანეთს უერთდება, ან, პირიქით, ნაწილებად იშლება. ქაოსურად მოძრაობს. სხვადასხვა საინტერესო ფორმას იღებს და ზევით მიიწევს. ზოგი ორთქლის ღრუბელი იზრდება, გამქვირვალე ხდება და სიცარიელეში ქრება. უსასრულოდ შეიძლება ღრუბლების უცნაური ფორმების თვალიერება.

ჩანახატების ავტორმა კადრირებასთან დაკავშირებული განმარტებები დაასრულა და ირგვლივ შეკრებილებს აცნობა:

— მორჩა.

სიჩუმე ჩამოვარდა. მაგიდის ირგვლივ შეკრებილთა უმეტესობას უკვე თავში უტრიალებდა სხვადასხვა სიტყვები, მაგრამ არავინ იცოდა, რა უნდა ეთქვა. არავის აზრი არ იყო ბოლომდე ჩამოყალიბებული. როდესაც დამკვეთმა შეკვეთა მოიტანა, თითქოს იცოდა, რა უნდოდა. თითქოს ყველამ, ვინც ამ პროექტზე იმუშავა — კოპირაიტერმა, არტდირექტორმა, მხატვარმა — რაღაც გაიაზრა. თითქოს იმას, ვინც კადრირება მოამზადა, თავისი ნამუშევრით რაღა-

ცის თქმა უნდოდა. თითქოს ყველაფერი ერთად მოწესრიგებულ კოსმოსს წარმოადგენდა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, თავში ყველას მაინც პირველყოფილი ქაოსი ჰქონდა. ჩამოუყალიბებელი აზრები უწონადო ღრუბლებივით მოძრაობდნენ.

ბევრი მიდის საკუთარი ქაოსური იდეებით დიზაინერებთან, პროგრამისტებთან - ზოგადად იმათთან, ვისაც ტექნოლოგიების გამოყენებით რამის გაკეთება, აწყობა შეუძლია, სანაცვლოდ კი აწყობილ, გამართულ, მწყობრ სისტემას, კოსმოსს ითხოვს. ასეთი ადამიანები ტექნოლოგიებთან მომუშავეთ, ეტყობა, იმ არქაულ ღმერთებად აღიქვამენ, რომლებსაც ქაოსისგან კოსმოსის შექმნა შეუძლიათ. სამწუხაროდ, მეორე მხარესაც ცოტა ვინმე თუა, ვისაც გააზრებული აქვს თავისი მისია, ვისაც ქაოსისგან მწყობრი, გაწონასწორებული ერთიანობის შექმნა შეუძლია.

არავინ იცის, რა სურთ ან დამკვეთს, ან უფროსს, ან პოლიტიკოსებს ტელევიზორში, ან ლექტორებს უნივერსიტეტებში. ყველას საკუთარი ქაოსი აქვს თავში. ისინი წამოისვრიან სიტყვებს, ცალკეულ ფრაზებს, ჩამოუყალიბებელ იდეებს და მერე ელოდებიან,

რა ფორმას მიიღებს სიტყვების უფორმო ღრუბელი, რა ინტერპრეტაციას მისცემენ მათ ნათქვამს თანამშრომლები, როგორ გადააკეთებენ ამბავს ჟურნალისტები, როგორ გაავრცელებენ ამბავს სხვები მეგობრებს შორის. სტუდენტები ესწრებიან ლექციებს, აბარებენ გამოცდებს და მოთმინებით ელოდებიან, რომ მათ ასწავლიან, როგორ შეიძლება ქაოსისგან საკუთარი კოსმოსის შექმნა.

კოსმოსი

მითებში, ისევე როგორც ადამიანების თავებში, ყველაფერი ქაოსით იწყება. სანამ თავში აზრი ფორმას მიიღებდეს, ცნობიერების ფსკერზე უფორმო, ცნობიერებისათვის შეუმჩნეველი ღრუბლები ყალიბდება. ღრუბლები ფორმას იცვლის. ერთმანეთს უერთდება. იზრდება და ზევით, ცნობიერებისაკენ მიიწევს, ანდა, პირიქით, სიცარიელეში იფანტება და სულაც ქრება.

ის ღრუბლები, რომლებიც ცნობიერებამდე ამოდის, გაცნობიერებულ აზრებად ყალიბდება. ადამიანების ყოველდღიურობა დაუსრულებელი მოგზაურობაა აზრების უფორმო ჩანასახებიდან ჩამოყალიბებულ, გააზრებულ იდეებამდე.

010

დღევანდელობის ქაოსში, მართალია, ცოტანი, მაგრამ არიან ისინიც, ვისაც არქაული ღმერთებივით ქაოსისგან კოსმოსის შექმნა შეუძლია და ამ ჩვენს არეულ დროში, როდესაც ძველი სისტემები ვეღარ მუშაობს და ახლები კი ჯერ არ არსებობს, კაცობრიობა მათ იმედადაა დარჩენილი. მათ შეუძლიათ, სხვადასხვა გაბნეული, ერთმანეთში არეული ელემენტები დროსა და სივრცეში დაალაგონ. ჩამოუყალიბებელი ფიქრების ღრუბლებს გასაგები ფორმა შესძინონ. მართალია, ციფრული ტექნოლოგიები ახალი ინსტრუმენტია, რომელიც ქაოსთან გამკლავების ახალ შესაძლებლობებს გვაძლევს, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც იმასა აქვს, ვინც ამ მაგიურ ძალას სწორად გამოიყენებს. ამიტომ ისღა დაგვრჩენია, რომ, როგორც ეს წარმართულ კულტურებში ხდებოდა, კერპებს მსხვერპლი შევწიროთ და მათ წინაშე რიტუალები ჩავატაროთ. ანდა ვისწავლოთ, ვცადოთ მაინც, ქაოსის კოსმოსად გადაქცევა.

ყველაზე სექსუალური პროფესია

ფიქრებში მოგზაურობა

ნული, ნული, ნული, ერთი, ნული, ერთი, ნული... ერთიანები და ნულები ენაცვლებიან ერთიმეორეს. ნულების და ერთიანების უსასრულო რიგებში თითქოს რაღაც გამოისახა. ოდნავ შესამჩნევმა მოგრძო სილუეტმა გაიელვა. ისევ მარტო ერთიანები და ნულები... ნულები და ერთიანები ისე გადანაწილდა, თითქოს ამ ციფრების რიგებში ისევ რაღაც ფიგურა გამოიკრთა. მგონი, გველის ფიგურა უნდა იყოს. უცნაური გველია, ორთავიანი. არა, ორთავიანი კი არ არის, ორი გველია. რიტმულად მოძრაობენ ნულების და ერთიანების უსასრულო რიგებში. ერთმანეთს ეგრიხებიან. ერთმანეთს ეხვევიან. მათი მოძრაობა თითქოს ცეკვას ჰგავს. არა, ეს უფრო სხვა რამეა, გველების სიყვარული. ორი საპირისპირო სქესის კავშირი.

ეს ისტორია სახეობიდან სახეობამდე მეორდება: თევზებიდან ქვეწარმავლებამდე, დინოზავრებიდან ადამიანებამდე. ორი საწყისი: მდედრობითი და მამრობითი, მიზიდულობა, სასიყვარულო ცეკვა, კონტაქტი, სექსუალური ურთიერთობა. შედეგად ჩნდება ახალი, უნიკალური სიცოცხლე.

ფიქრებიდან დაბრუნება

თვალები გაახილა. თვალები რომ გაახილა, ფიქრები, ფიქრების თანმდევი გამოსახულებები ოთახის სიცარიელეში გაიფანტა. ისევ სამსახურში იჯდა, საკუთარ სამუშაო მაგიდასთან. მონიტორზე ისევ ერთიანები და ნულები ცვლიდნენ ერთმანეთს, ყოველგვარი გველების გარეშე.

მიმოიხედა, ყველგან ორობითი კოდი ეჩვენებოდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს არსებული რეალობის მიღმა გაიხედა და დაინახა კოდი, რომლითაც ჩვენი რეალობაა დაწერილი.

ზურგიდან მეგობრის ხმა მოესმა:

— ახლა არ მითხრა, რომ ამ ერთიანებში და ნუ-



ლებში რამის ამოკითხვა შეგიძლია. ჩვენმა გმირმა გაკვირვებით გახედა და მონიტორისკენ შებრუნდა. მეგობარმა ეს გამოხედვა დაინახა და კომპიუტერის ეკრანზე მიუთითა.

პერსონაჟს გაეღიმა — ეგეთი კოდერი მარტო „მატრიცაში“ მინახავს, მატრიცის კოდს რომ უყურებს და ნეოს რომ უხსნის, როგორ რეალობას ქმნის პროგრამული კოდი იმ მომენტში მატრიცაში.

— აბა, რა უნდა ამ ერთიანებს და ნულებს შენს მონიტორზე? — ჰკითხა მეგობარმა.

— მონიტორზე კი არა, უკვე ყველგან მელანდება, — უპასუხა ჩვენმა პერსონაჟმა და გააგრძელა, — თვალებს რომ დავხუჭავ, მაშინაც ამას ვხედავ. ერთი ვიდეო ვნახე youtube-ზე და იმის მერე ამეკვიატა ეს ნულები და ერთიანები.

— რომელი ვიდეო? — ჩაეძია მეგობარი.

პერსონაჟმა განაგრძო. ეტყობოდა, რომ ის, რაზეც ლაპარაკობდა, ეს მისთვის უბრალოდ ინტერნეტში

აღმოჩენილი რიგითი ამბავი არ იყო. ჩანდა, რომ ამ საკითხმა ის ნამდვილად დააინტერესა:

— ამ ვიდეოში ერთ ტიპი ციფრების ისტორიას ჰყვება, უფრო სწორად იმას, თუ საიდან გაჩნდა ციფრები, რომლებსაც ჩვენ ვიყენებთ. ბერძნები და რომაელები რიცხვებს ჯოხებით აღნიშნავდნენ და ნული სულ არ სჭირდებოდათ. ერთი ხაზი ერთს ნიშნავდა, ორი ხაზი ორს. — ნახე, — გააგრძელა პერსონაჟმა და ფურცლის ნაგლეჯი აიღო. კალმით ფურცელზე სამი პარალელური ხაზი გაავლო: III. ეს სამიანია. ცალკე სიმბოლო ჰქონდათ ხუთისთვის და ფურცელზე რომაული ხუთიანი გამოსახა: V. კიდევ ცალკე ათისთვის: X. თითოეული რიცხვი ამ სიმბოლოების კომბინაცია იყო და მორჩა. რომაულად დიდი რიცხვი რომ დაწერო, ბევრი ხაზი უნდა ჩამოამწკვრივო.

წერა დაიწყო, მაგრამ მეგობარმა გააწყვეტინა:

— ეგ კი ვიცი, მაგრამ მაგას ნულებთან და ერთიანებთან რა კავშირი აქვს?

— რა და — გააგრძელა პერსონაჟმა, — მერე არაბ-

ებმა შემოიტანეს ის ციფრები, რომლებსაც ახლა ვიყენებთ. ანუ ახლა ჩვენ ათი არაბული, სხვადასხვა მოხაზულობის ციფრი გვაქვს. აი, ნახე და რომაული ციფრების ქვეშ ათი ნიშანი ჩამოამწკვრივა: 0 1 2 3 4 5 6 7 8 9. რაც მთავარია, ამ ციფრებში ნულიც ურევია. ამათი კომბინაციით ნებისმიერი რიცხვი შეგიძლია დაწერო. მაგრამ ეს ნული არაბების მოგონილი არ არის. ინდოეთიდან წამოიღეს, უბრალოდ ციფრები არ იყო. რეალურ და მისტიკურ სამყაროებს შორის ზღვარი მაშინ პირობითი იყო. სად მთავრდებოდა რეალობა და სად იწყებოდა მაგია, ამას ჩვენ ახლა ვერ გავარკვევთ, მაგრამ ციფრები მაგიასთან უფრო იყო დაკავშირებული, ვიდრე რეალობასთან. როგორც ჩანს, მაშინ ციფრებს ყველაფერთან ერთად მაგიური მნიშვნელობაც ჰქონდა. მაგალითად, ერთიანი მამაკაცური საწყისის სიმბოლო იყო. ნული კი ქალურისა. ეს ორი ციფრი კი მათთვის უსასრულო მრავალფეროვნების საწყისი იყო.

ყველაზე სექსუალური პროფესია

პერსონაჟმა უნებლიეთ ხმას აუწია. ეტყობოდა, რომ აღელვებული იყო:



— ეს ვიდეო რომ ვნახე, ორობითი კოდის ინტერ-პრეტატორი გადმოვიწერე. კომპიუტერშიც ხომ ყველაფერი საბოლოოდ ორობით კოდამდე დადის. გამოდის, რომ პროგრამისტებიც, ძველი მისტიკოსებივით, ამ ორ საწყისს ერთმანეთთან უსასრულოდ ვაკავშირებთ. როგორც ცოცხალ ბუნებაში, საბოლოოდ პროგრამისტებსაც ეს ორი სიმბოლო გვაქვს. მდედრის და მამრის აღმნიშვნელი. ამ ორი განსხვავებული საწყისის ურთიერთობის შედეგად ჩნდება ყველაფერი, რაც კი არის ჩვენს კომპიუტერში.

გაკვირვებულმა მეგობარმა მისი ნათქვამი გააგრძელა:

— და ყველაფერი, რასაც კომპიუტერის ეკრანზე ვხედავთ, ამ ორი საწყისის თანმიმდევრული მონაცვლეობაა: მუსიკა, რომელსაც კომპიუტერით ვისმენთ, გამოსახულება, რომელიც კომპიუტერის ეკრანზე ჩანს და, საერთოდ, ყველაფერი, ყველაფერი, ყველაფერი...

ორივენი ნულების და ერთიანების მაგიურ მონაც-

ვლეობას მიაშტერდნენ ეკრანზე. ბოლოს კი მეგობარმა დაამატა:

— აბა, პროგრამირება ყველაზე სექსუალური პროფესია ყოფილა.

ჯადოქარი

სიტყვებისგან ფორმულებს აწყობდა. ლათინური ასოებისა და ციფრების რიგებს კიდევ ერთი ხაზი დაემატა. უცნაური სიტყვები ამოძრავდნენ. სიმბოლოები მორიგეობით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. ირგვლივ ყველაფერი ამოძრავდა. გარემო გაცოცხლდა, ადამიანის პატარა ფიგურამ სიარული დაიწყო. ის არაბუნებრივად ადგამდა ნაბიჯებს - ხან ერთ მხარეს იხრებოდა, ხან მეორე მხარეს. შეიძლებოდა ნებისმიერ დროს წაქცეულიყო. პირველივე პატარა უმნიშვნელო დაბრკოლებასთან წაბორძიკდა და დაეცა კიდეც.

— არა უშავს, — ჩაიბურდღუნა ახალგაზრდა ჯადოქარმა და მუშაობა გააგრძელა. უცნაური სიტყვების რიგები ელვის სისწრაფით მოძრაობდა და უთვალავჯერ მეორდებოდა. ამჯერად ადამიანის ფიგურა უფრო თამამად მიაბიჯებდა, პირველი დაბრკოლე-

ბა, როგორც იქნა, გადალახა. კი გადალახა, მაგრამ მეორე დაბრკოლებასთან დაეცა.

— აბა, ასე რომ ვქნათ... — თავისთვის ჩაილაპარაკა ჯადოქარმა, მაგიური სიტყვები გადაანაცვლა და ბოლოში რამდენიმე ახალი სიმბოლო დაუმატა. ფიგურამ ირგვლივ მიმოიხედა, რამდენიმე ნაბიჯი არაბუნებრივად მსუბუქად გადადგა და ჰაერში აიწია. ნელა, ნელა ზევით მიიწევდა. ადამიანის ფიგურა მიფრინავდა.

მაგიური სიტყვების უსასრულო რიგები სინათლის სიჩქარით დაქროდნენ კომპიუტერის მიკროსქემებში. სიმბოლოების რიგები ერთმანეთს ცვლიდნენ და მეორდებოდნენ, მეორდებოდნენ, მეორდებოდნენ. ერთმანეთზე გადაბმული პროგრამული კოდის ფრაზები კომპიუტერის მიკროსქემებში მოძრაობდნენ. ოთახის სიჩუმეში ოდნავ ისმოდა კომპიუტერის ზუზუნი, რომელიც ამ ფრაზებს, ანუ პროგრამულ კოდს უსასრულოდ იმეორებდა.

ახალგაზრდა ჯადოქარი ყურადღებით აკვირდებოდა თავის ქმნილებას. ის კი ზევით, სულ ზევით



მიიწევდა, ბოლოს მონიტორის საზღვარს ასცდა და ეკრანიდან უბრალოდ გაქრა.

კომპიუტერის მონიტორზე მოჩანდა უცნაური მცენარეები, მთები, ღრუბლები — სამყარო რომელიც ჯერ ვიღაცის თავში დაიბადა შემდეგ ის სიტყვებად, პროგრამულ კოდად გადაიქცა, მერე სინათლის სიჩქარით კომპიუტერის მიკროსქემებში ამოძრავდა. გამომთვლელი მანქანის მიკროსქემებმა პროგრამული კოდის მაგიური სიტყვების გამეორება გააგრძელეს.

ახალგაზრდა ჯადოქრის თვალწინ, კომპიუტერის ეკრანზე მის მიერ შექმნილი სამყარო იყო გამოსახული. მართალია, სამყარო ჯერ დაუსრულებელი იყო და ჯადოქარს წინ კიდევ ბევრი უძილო ღამე ელოდებოდა.

ბოლოს, როდესაც სამყაროს შემქმნელები თითოეულ სიტყვას თავის ადგილს მოუძებნიან, ახალი თამაში შეიქმნება. მთელი მსოფლიოს გეიმერები ახალ სამყაროში შემოაბიჯებენ. არარეალური პეიზაჟები, ფანტასტიკური არსებები ეკრანებიდან მათ სურვი-



ლებში შემოვლენ. ზღვარი რეალურსა და ახლად შექმნილ სამყაროს შორის პირობითი გახდება. სურვილებიდან ახალი ციფრული რეალობა სიზმრებში გადაიღვრება და ჯადოქარი კოდერების მიერ შექმნილი სამყარო სიზმრებში ხელახლა დაიბადება. იგი ჩვენი რეალობის განუყოფელი ნაწილი გახდება. ადამიანების ფიქრები, ემოციები, სურვილები უხილავი ძაფებით ახალი თამაშის სამყაროსთან იქნება დაკავშირებული.

შეხვედრა ლევიათანთან

ლევიათანი 01 - ბიბლიური ურჩხული

ბიბლიაში აღწერილი ლეგენდარული ზღვის ურჩხული ან გველეშაპი, რომელიც ღმერთის მიერ დამარცხებულ ბოროტებას განასახიერებს.

ლევიათანი 02 - წიგნის სათაური

თომას ჰობსის წიგნი, რომელშიც ავტორმა სახელმწიფო სტრუქტურებს „ლევიათანი“ უწოდა.

რეალობა

თამთა დიდ ოთახში იჯდა ბევრ თანატოლთან ერთად. ყველანი ერთნაირ მაგიდებთან, ერთნაირ სკამებზე ისხდნენ. ყველა ჩუმად ელოდა, ყველა ჩუმად ღელავდა.

თვალები რომ დახუჭა, თითქოს სიზმარში დაბრუნდა. ეს რამდენჯერმე დაესიზმრა. როცა ამ სიზმარს ხედავდა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ძალიან დიდი ხნის წინ წაკითხულ წიგნს უბრუნდებოდა. მართალია, ამ სიზმარში შეგრძნებები უკვე ნაცნობი იყო, მაგრამ ყოველ ჯერზე ისევ ის შიში იპყრობდა, რომელიც მაშინ განიცადა, როდესაც ეს ყველაფერი პირველად იხილა ძილში.

სიზმარი

ტყეში მარტო იყო, ხელში თავისი გაკეთებული შუბი ეჭირა. შუბის დამოუკიდებლად გაკეთება პირველად მოუხდა. ამის გამო კიდევ უფრო ღელავდა. ტყეში მარტო, უფროსების გარეშე, არც ისე სანდო იარაღით. ამ ვითარებაში ტყის ხმები კიდევ უფრო საშიშად ჩაესმოდა. თითქოს ტყე უზარმაზარი ცოცხალი არსება იყო. ახალბედა მონადირე ამ არსების წინაშე მარტო იდგა. ნეტა შეძლებს რამის მონადირებას?

რა კარგი იქნება, ყველაფერი რომ ისე იყოს, როგორც მამა ასწავლიდა. ნეტა ნადირი არ იყოს დიდი და საშიში. ნეტა ისე დადგეს, რომ შუბის ტყორცნა



არ გაუჭირდეს. ასეთი ფიქრები ელვის სისწრაფით უტრიალებდა თავში.

მაგრამ ამ ტყისთვის ყველაფერი სულ ერთი იყო: ის, რომ პატარა მონადირე პირველად გამოუშვეს ტყეში მარტო, ის, რომ პატარა მონადირეს უნდა დაემტკიცებინა ყველასთვის, რომ უკვე დიდია, ის, რომ, თუკი ახლა ვერაფერს მოინადირებდა, ეს დიდი სირცხვილი იქნებოდა და გაისად ისევ გამოუშვებდნენ ტყეში, რომ მაშინ ისევ მოუწევდა თავისი თავისთვის და ყველასთვის იმის მტკიცება, რომ უკვე დიდია.

ტყე - ხეების ერთობლიობა - უბრალოდ თავისთვის იყო. უფროსებს რატომღაც ჰგონიათ, რომ ბუნება მშობელია და მათ შვილებივით ექცევა — ზოგჯერ გაუჯავრდება, ზოგჯერ კი მოულოდნელ საჩუქარს გაუკეთებს. უფროსებს ჰგონიათ, რომ ბუნება ცოცხალივით იქცევა. რომ დიდებმა თავად უნდა გამოიცნონ, რატომ დაატყდათ თავს სასჯელი, ან რატომ მიიღეს მოულოდნელი საჩუქარი. თამთა ამ სიზმარში ბიჭი იყო, ბიჭი, რომელიც პირველად გამოუშვეს ტყეში, გამოუშვეს იმისათვის, რომ გაევლო უხსოვარ

დროში დაწესებული ინიციაციის რიტუალი. თამთა, რომელიც ამ სიზმარში ბიჭი იყო, ხვდებოდა, რომ უფროსების წარმოდგენა ტყეზე საკუთარი ბავშვობიდან ისესხეს, იმ დროიდან, როდესაც ისინი თავიანთი მშობლებისათვის მნიშვნელოვანნი, უმნიშვნელოვანესნი იყვნენ, იმ ბავშვობიდან, როდესაც მშობლები მათ გამო ყველაფრისთვის მზად იყვნენ, როდესაც მშობლები ყოველგვარ ბავშვურ ცელქობას და ახირებას სიყვარულით პასუხობენ ხოლმე.

რეალობა

თამთამ თვალები გაახილა და სიზმრიდან თავის თავში დაბრუნდა. ის ისევ თამთა იყო და ეროვნულ გამოცდაზე იჯდა. სხვა თანატოლებთან ერთად გამოცდის საკითხებს ელოდებოდა. ეს მისი პირველი, დამოუკიდებელი შეხება იყო სახელმწიფო სისტემებთან, უცნობ ადამიანებთან, რომლებიც ერთ მთლიანობას, საგამოცდო ადმინისტრაციას წარმოადგენდნენ. ადრე თუ რამე საბუთი დასჭირდებოდა, დედა ან მამა აგვარებდა ამ საკითხს. როდესაც პირადობის მოწმობის აღების დრო დადგა, მამასთან ერთად წავიდა დიდ, უცნაურ შენობაში, რომელშიც მისთვის გაუგებარი რამეები ხდებოდა, მაგრამ იქ

მამასთან ერთად თავს მშვიდად გრძნობდა.

მაგრამ ახლა თამთა მარტოა და გაუგებარია, ეს უნარებშია გამოცდა, თუ უფროსები იმის გარკვევას ცდილობენ, უკვე დიდია თამთა თუ არა. შეძლებს, დამოუკიდებლად გაართვას თავი დიდების შემუშავებულ წესებს? ცოცხალი გამოვა ამ უზარმაზარი შენობიდან? შეძლებს, დაამტკიცოს, რომ უკვე დიდია?

სიზმარი

კიდევ ერთი წრე შეიკრა პატარა მონადირის ცხოვრებაში — მან თავისი პირველი ნადირი მოინადირა. ტყის პირას ოჯახის წევრები ელოდებოდნენ. ძნელი სათქმელია, ვინ უფრო მეტად ღელავდა, თვითონ თუ მისი ოჯახის წევრები. წრე შეიკრა — ის უკვე დიდი იყო, მან პირველად ინადირა მარტომ. ამის მერე მას უკვე შეეძლო დიდებთან ერთად ნადიმში მონაწილეობის მიღება. უზარმაზარი ტყე ისევ ისეთად დარჩა, როგორიც ადრე იყო, ისევ თავისთვის იყო, მაგრამ აღარ იყო ისეთი საშიში. ცხოვრებაში კიდევ ბევრი წრე ექნება მას შესაკრავი, წრე, რომელსაც აქვს დასაწყისი და დასასრული, წრე, რომელიც უსასრულო სპირალის მხოლოდ ერთი რგოლია.



რეალობა

თამთა გამოცდიდან გამოვიდა. გარეთ ოჯახის წევრები ელოდებოდნენ. ძნელი სათქმელია, ვინ უფრო მეტად ღელავდა, თვითონ თუ მისი ოჯახის წევრები. წრე შეიკრა. ის შენობიდან უფრო დიდი გამოვიდა იმ თამთაზე, რომელიც რამდენიმე საათით ადრე შენობაში შევიდა. ის პირველად მარტო შეხვდა ლევიათანს და თითქოს მიხვდა ისეთ რამეს, რამაც ის დიდი გახადა. თითქოს მიხვდა, როგორ უნდა მოექცეს მომავალში ლევიათანს, რას უნდა მოელოდეს ლევიათანისაგან. ლევიათანი აღარ იყო ისე საშიში, როგორც რამდენიმე საათის წინ. ცხოვრებაში კიდევ ბევრი წრე ექნება მას შესაკრავი. წრე, რომელსაც აქვს დასაწყისი და დასასრული. წრე, რომელიც უსასრულო სპირალის ერთი მორიგი რგოლია.

ოფისების ამაოება

ქუჩაში, ბოძზე ხელით დაწერილ განცხადებას მოჰკრა თვალი. უბრალო განცხადებისათვის ტექსტი ძალიან გრძელი იყო და ალბათ ამიტომ მიიქცია ყურადღება. ინტერნეტის და სოციალური მედიის ეპოქაში, ვიღაცამ, იმის მაგივრად, რომ პოსტი გამოექვეყნებინა, ქაღალდის ფურცელზე ხელით დაწერილი პოსტი ბოძზე გამოაკრა:

„არც ისე დიდი ხნის წინ ადამიანებმა ოფისები გამოიგონეს. მას შემდეგ ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს ოფისებში ატარებენ. ზოგი ოფისი სახლივით მყუდრო და მოსახერხებელი იყო, ზოგი კი ცივი და მეტისმეტად ოფიციალური. იქაურობა სავსე იყო ოფისისათვის საჭირო ნივთებით: ფერადი ჭიკარტებით, სხვადასხვანაირი საწერი კალმებით, დიდი და პატარა სტეპლერებით, სხვადასხვა ზომის საქაღალდეებით და სხვ. გამორჩეული საოფისე ნივთები

ფარული იერარქიის ნიშნებს ატარებდა. როგორც წესი, დირექტორებს და მათთან დაახლოებულ თანამშრომლებს კარგი ჭიკარტები, გამორჩეული ბურთულიანი კალმები ან განსხვავებული საქაღალდეები ჰქონდათ.

ადამიანები გამორჩეულ, მათთვის საყვარელ საოფისე ნივთებს უვლიდნენ, უფრთხილდებოდნენ და სათუთად ინახავდნენ. თავის მხრივ, ზოგიერთი საოფისე ნივთი პატრონისათვის იღბლის მომტანი იყო. მაგალითად, ერთ ჩემს ნაცნობს ჰქონდა კალამი, რომელიც საქმიან შეხვედრებზე ეხმარებოდა ხოლმე. ამიტომ ჩემი ნაცნობი ცდილობდა, მნიშვნელოვან შეხვედრაზე ეს კალამი ყოველთვის თან ჰქონოდა.

დღეს ეს კულტურა ნელ-ნელა ქრება. ოფისებში დამკვიდრებული იერარქია სახეს იცვლის. სამუშაოს დიდი ნაწილის შესრულება სახლიდანაა შესაძლებელი. ლამაზ საქაღალდეში კოხტად ჩალაგებული საბუთები, მარკერით გახაზული დოკუმენტი, ხელით დაწერილი ანგარიშები, ფერადი სამაგრებით შეკრული დოკუმენტები ჩვენი ცხოვრებიდან





ნელ-ნელა მოგონებებში ინაცვლებს. ეს არაჩვეულ-ებრივი ნივთები რაღაც დროის მერე ალბათ საერ-თოდ გაქრება. გაკრული ხელით შესრულებული ხელ-მოწერაც კი, რომელსაც ადრე უზარმაზარი ძალა და მნიშვნელობა ჰქონდა, ელექტრონული ხდება.

მომავალი თაობებისათვის გაუგებარი იქნება, საერ-თოდ რატომ დასჭირდა კაცობრიობას ოფისების შენება. ამ გზავნილით მინდა, ავუხსნა მათ, რომ ოფისებში არსებული ინფორმაციის გადმოცემის, დახარისხების პრიმიტიული ინსტრუმენტები არ იყო უბრალოდ ნივთები. ისინი, ისევე როგორც ადამია-ნები, ინახავენ მოგონებებს უცნაურ ეპოქაზე, რო-მელიც რაღაც დროის მერე აღარ იქნება, ისევე, რო-გორც ისტორიის განმავლობაში ბევრჯერ მომხდარა, ჩვენი გარემო იცვლის სახეს და ახალ, ჯერ კიდევ გაუგებარ ფორმებს იძენს.“

ბოძიდან განცხადება ფრთხილად ჩამოხსნა. რო-გორც ჩანს, საოფისე წებოთი იყო დაწებებული და ამიტომ ის ადვილად დაემორჩილა. რამდენჯერმე გადაკეცა და ჯიბეში ჩაიდო. გაიფიქრა, სახლში რომ მივალ, ამ ბოძზე გამოკრულ, ხელით დაწერილ

პოსტს პიჯაკის ჯიბეში ჩავიდებო. ნელა მიუყვებოდა ქუჩას და ისევ ის სურათი წარმოუდგა თვალწინ — თავისი დასაფლავების დღე. უბრალოდ, ერთი პატარა განსხვავებით - დასაფლავების დღეს იმ პიჯაკში იქნება გამოწყობილი, რომლის გულის ჯიბეშიც ეს ქაღალდის ნაგლეჯზე დაწერილი პოსტი ედება.

ხელოვნური ინტელექტი

რობოტები დაუნდობლად იბრძოდნენ. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ერთ არც ისე მშვენიერ დღეს ხელოვნურმა ინტელექტმა გადაწყვიტა, რომ კაცობრიობა მისთვის საფრთხეს წარმოადგენს. მზაკვრული გეგმა სწრაფად განხორციელდა. ხელოვნურმა ინტელექტმა ადამიანებს შეუტია. ბრძოლა დაუნდობელი იყო. როდესაც თითქოს იმედიც კი მოკვდა, ადამიანებმა ბოლო ძალები მოიკრიბეს და გადამწყვეტ ბრძოლაში გაიმარჯვეს. ფილმი სავსე იყოს კაცობრიობის ქვეცნობიერი შიშებით. გაუგებარი იყო, საიდან მოვიდა ეს ხელოვნური ინტელექტი, რატომ იყო ასეთი დაუნდობელი.

განსხვავებით ფილმებისაგან, ჩვენს რეალობაში პროგრამულ პროდუქტებს მათი შემქმნელები საკუთარ პიროვნულ თვისებებს გადასცემენ. ზოგჯერ ეს შეგნებულად ხდება, ზოგჯერ კი შემთხვევით.

თუკი კომპიუტერული პროგრამა გამუდმებით ყურადღებას მოითხოვს, ესე იგი ვიღაცამ ის ასე დაა-პროგრამა. შეუძლებელია, რომელიმე პროგრამას ვინმეს თვალთვალის სურვილი დამოუკიდებლად გაუჩნდეს, გაუმაძღარი ან ხარბი იყოს. უბრალოდ, ასეთი პროგრამები ზემოთ ჩამოთვლილი თვისებების მქონე ადამიანების მიერაა აწყობილი. კომპიუტერული პროგრამები სარკეა, რომელშიც ჩვენი, ადამიანების, თვისებები — სისუსტეები, მარტოობის გრძნობა ირეკლება.

ხელოვნური ინტელექტის სახითაც ადამიანებს სინამდვილეში საკუთარი თავისაც გვეშინია. გვეშინია, რომ ხელოვნურ ინტელექტში ჩვენი, ადამიანების, დესტრუქციული თვისებები გამოვლინდება.

მაგრამ, თუკი რობოტებს, კომპიუტერულ მოწყობილობებს, სხვადასხვა პროგრამებს, ხელოვნურ ინტელექტს ჩვენი, ადამიანების, აუხდენელ ოცნებებს გადავცემთ, მაშინ შევძლებთ, ავისრულოთ ის, რასაც დიდი ხნის განმავლობაში თქმულებებში, მითებში, რელიგიებში, ზღაპრებში ვინახავდით, მაგალითად, მივაღწევთ კიბერუკვდავებას ანდა შეგვეძლება,

ერთდროულად რამდენიმე ადგილას ვიყოთ.

ამიტომ სულელური ფილმების ყურების ნაცვლად, ჯობია, დავფიქრდეთ საკუთარ თავზე და იმაზე, რასაც ვასწავლით ან უნებლიეთ გადავცემთ კომპიუტერებს. თუკი გვინდა, რომ ჩვენი, კაცობრიობის, ოცნებები ასრულდეს, კომპიუტერებს სუფთა გულებით და კეთილი სურვილებით უნდა მივუსხდეთ ხოლმე.

ჭეშმარიტი მასწავლებელი

უკანა კარი

ცხოვრება რაღაცით კომპიუტერულ თამაშს ჰგავს. თამაშის მთავარი გმირის მოულოდნელობებით სავსე თავგადასავალი იწყება. მას მუდამ არჩევანის გაკეთება უწევს. თითოეულ არჩევანს, თავის მხრივ, ახალი მოულოდნელობა მოსდევს. არავინ იცის, სად მიიყვანს მას თამაში, გასხივოსნებულ გამარჯვებამდე თუ მოულოდნელ დასასრულამდე. ვიღაცა ჩითერობს, ვიღაც დაუღალავად მუშაობს, უსასრულოდ ავითარებს საკუთარ უნარებს, იმისათვის, რომ დასასრულამდე გასხივოსნებული მივიდეს. ზოგს კი უბრალოდ უმართლებს და ის მოკლე გზებით, უკანა კარით მარტივად მიდის სანუკვარ მიზნამდე. მოკლედ, ყველას ჩვენ ჩვენი ქვესთი გვაქვს გასავლელი.

ამ პატარა ისტორიის გმირსაც თავისი გზა ჰქონდა გასავლელი ცხოვრებაში, მაგრამ ჩვენი რეალობის პროგრამისტებს ალბათ სადღაც რაღაც ბაგი გაეპარათ ან, უბრალოდ, სამყაროს კოდის წერისას ვიღაცამ განგებ დატოვა უკანა კარი. შედეგად, ჩვენი პერსონაჟი, ყოველგვარი სულიერი მომზადების გარეშე, სამყაროსა და თავისი თავისთვის მოულოდნელად, სრულ ჭეშმარიტებას ეზიარა.

ერთ ჩვეულებრივ დღეს, როდესაც თავის საყვარელ კომპიუტერულ თამაშს თამაშობდა. რაღაც არასტანდარტული სვლა გააკეთა. თამაშის კომპიუტერულ კოდში ციფრების აქამდე არნახული კომბინაცია შეიკრა. ეკრანი მოულოდნელად განათდა, და თეთრი, ჭახჭახა სინათლე ოთახში გადმოიღვარა. ერთ წამში, უფრო სწორად წამის მეათასედში, სრულიად მოულოდნელად მან ყველაფერი გაიგო. თითქოს ჩვენს არეულ სამყაროში ყველაფერი წონასწორობაში მოვიდა და ის, რაც აქამდე უხილავი იყო, ნათლად გამოჩნდა. ყველაფერი თავის ადგილას დადგა, უფრო სწორად, ისევ იქ იყო, სადაც მანამდე იმყოფებოდა და ამავე დროს იქ იყო, სადაც უნდა ყოფილიყო. გა-





კვირვებაც ვერ მოასწრო, რა მარტივი და იოლად გასაგები ყოფილა ჭეშმარიტება.

კათოლიკე ღვთისმეტყველები ამას „ილუმინაციას“ უწოდებდნენ. საერთოდ, ძველად ადამიანი უფრო ფრთხილად უდგებოდა სამყაროს საიდუმლოებებს და ღვთიურ მინიშნებებს. ადამიანს შეიძლება უბრალოდ მოსჩვენებოდა რამე. შეიძლება ეშმაკი გამოსცხადებოდა ან ანგელოზი, ან სულაც ილუმინაციას გაესხივოსნებინა იგი. მაგალითად, ის პროგრამული შეცდომები, რომლებიც ძველმა მისტიკოსებმა აღმოაჩინეს, დღეს უკვე გასწორებულია. ამიტომაც ძველი რიტუალების ზედმიწევნით შესრულებას დღეს აზრი არა აქვს. იმავეს რომ მიაღწიო, საკუთარ თავზე თავდაუზოგავი მუშაობაა საჭირო და არანაირი გარანტია არ არსებობს, რომ ის გამოგივა, რაც ჩაიფიქრე.

ცხოვრება წინ მიდის, სამყარო იცვლება და ცვლილებების კვალდაკვალ რეალობაში ახალი შესაძლებლობები, ახალი შეცდომები გროვდება. შეუძლებელია სრულყოფილი პროგრამული კოდის დაწერა,

რომელიც მუდამ იმუშავებს. დროთა განმავლობაში ჩნდება მოულოდნელი დამთხვევები, ახალი კომბინაციები. ყოველთვის არსებობს შემოვლითი გზები, რომლებიც უხილავია მანამდე, სანამ მათ ვინმე არ აღმოაჩენს.

მინიშნებები

ამ დღის მერე ჩვენი გმირი ისევ ისე გამოიყურებოდა, ისევ ისე ცხოვრობდა, როგორც იქამდე, ვიდრე ჭეშმარიტებას ეზიარებოდა. უბრალოდ, ახლა მის გამოხედვაში ასაკისთვის შეუფერებელი სიბრძნე იკითხებოდა. კიდევ, თითქოს სიმაღლეში გაიზარდა, სულ ოდნავ. ასე ალბათ იმიტომ ჩანდა, რომ, როდესაც მიაბიჯებდა, მისი ტერფები მიწიდან ოდნავ, სულ ოდნავ, ზევით, ჰაერში ჩერდებოდა — ის მიწას ფეხით აღარ ეხებოდა.

თავის კლავიატურას სათუთად უვლიდა, კომპიუტერული თამაშები მას მედიტაციაში ეხმარებოდა. ხან რომელ განზომილებაში აღმოჩნდებოდა დაუსრულებელი მოგზაურობისას და ხან რომელში, ხან მისტიკური სამყაროს რომელ გურუს გამოელაპარაკებოდა და ხან რომელ ფანტასტიკურ არსებას. პატარა

ოთახი, რომელშიც ცხოვრობდა, ასკეტი ბერის სენაკს დაემსგავსა.

ძველ დროში რომ ეცხოვრა, ალბათ ახალ სულიერ პრაქტიკას დააფუძნებდა და ბევრი მიმდევარიც ეყოლებოდა. მაგრამ დღეს სულ სხვა დროა, ყველაფერი იცვლება. მედიტაციიდან დაბრუნებული, პროგრამულ კოდთან მუშაობს. მობილურის ერთი შეხედვით სულელურ თამაშებს ქმნის. თამაშის კოდში მისტიკურ გამოცხადებებს აქსოვს. ზოგი მოთამაშე ამას საერთოდ ვერ ამჩნევს. ხოლო იმისათვის, ვინც უკვე მზად არის, ეს ნამდვილი სასწაულია, სასწაული, რომელიც უამრავი ადამიანისათვის დროული სიგნალია, მინიშნება, რომელიც საკუთარ თავზე დაუღალავი მუშაობისკენ უბიძგებს, უბიძგებს ჭეშმარიტებისაკენ სავალ უსასრულო გზაზე პირველი ნაბიჯების გადასადგმელად.

შუშის ქილა

ერთხელ, პატარაობაში, პაწაწინა ჭიაყელა მოათავსა შუშის ქილაში. ჩვენ არ ვიცით და ვეღარც გავიგებთ, როგორ გრძნობდა პაწაწინა ჭიაყელა ამ უცნაურ სტერილურ გარემოში თავს. თუკი პატარა ჭიაყელა ხარ, რომელიც ცილინდრული ფორმის ქილაში მოათავსეს, რომელი მხრიდანაც გინდა დაიწყო ხოხვა, ვერასდროს იპოვი ამ ცილინდრული სამყაროს დასასრულს. მუდამ წრეებზე ივლი. ეს ცილინდრი შენთვის უსასრულო სამყარო იქნება.

როცა გაიზარდა, ზუსტად ასეთ, უფროსების მიერ საგანგებოდ მოწყობილ სტერილურ გარემოში აღმოჩნდა. ჭიაყელასგან განსხვავებით, ის მარტო არ იყო. სხვა თანატოლებთან ერთად სკოლის შენობაში მოათავსეს. სკოლა, წინასწარ შერჩეული და გადარჩეული წიგნებისა და ფორმალური წესებისაგან შემდგარი სივრცე, უსასრულო სამყაროდ ეჩვენებო-

და. ჭიაყელასავით მიჰყვებოდა წიგნებში მოცემულ საკითხებს და წესებს.

იდეოლოგიზებული მასწავლებლები ცდილობდნენ, ყოველგვარი მოულოდნელობები აერიდებინათ პატარა ჭიაყელებისთვის, იმის ნაცვლად, რომ ახლის აღმოჩენა, მოულოდნელობების მართვა ესწავლებინათ. როდესაც ის სკოლაში სწავლობდა, მაშინ საბჭოთა სისტემა ჯიუტად ცდილობდა, „დიადი კომუნისტური პარტიის“ მიერ განსაზღვრულ გარემოში მოექცია მოსწავლეები, გარემოში, რომელშიც ყველაფერი წინასწარ იქნებოდა განსაზღვრული. აქ მოულოდნელობა დამღუპველი იქნებოდა.

იმ დროს საბჭოთა სკოლაში ერთიანი საგანმანათლებლო სისტემა არსებობდა. წინასწარ იყო გაწერილი, რომელ მასწავლებელს რა უნდა ესწავლებინა თითოეულ გაკვეთილზე, რამდენი საკონტროლო უნდა ჩაეტარებინა წლის განმავლობაში და ასე შემდეგ. არადა შეუძლებელია ერთიანი გეგმის მიხედვით ისეთი სისტემის შემუშავება, რომელიც ყველა მოსწავლეს, თითოეულ ინდივიდს მოერგება. მართალია, ზოგიერთი მასწავლებელი მაინც ახერხე-





ბდა ამ ფორმალური გარემოს და „მოსკოვში“ შემუ-შავებული, დამტკიცებული სახელმძღვანელოების მიუხედავად საინტერესო გაკვეთილი ჩაეტარებინა, მაგრამ ისინი გამონაკლისები იყვნენ.

ხშირად თავად მასწავლებელს არ სჯეროდა იმისა, რასაც ასწავლიდა. არსებობდა ორმაგი მიდგომა. ერთი მხრივ, სავალდებულო, ერთგვარი რიტუალ-ური ტექსტები კომუნისტური პარტიის, ლენინის, პარტიული ლიდერების შესახებ, ფრაზები, რომლე-ბშიც ხაზგასმული იყო ლიდერების ზებუნებრივი კეთილშობილება და გამჭრიახობა. ყოველივე ეს ხშირად უადგილოდაც კი უნდა ეხსენებინათ მო-სწავლეებსაც და მასწავლებლებსაც. თავის მხრივ, სახლში მშობლები შვილებს აფრთხილებდნენ, ის, რაზეც სახლში ვლაპარაკობთ, არსად თქვათ, თო-რემ უსიამოვნება არ აგვცდებაო.

ეს ყველაფერი სტერილურ გარემოში მოთავსებული ბავშვისათვის შეუმჩნეველი სულაც არ იყო. ამ წე-სების აბსურდულობა ბავშვებისათვის აშკარა იყო. იყო რაღაც შენთვის, მეგობრების ვიწრო წრისათვის და იყო სახალხოდ სალაპარაკო.

ასე რომ, არსებობდა საკმაოდ არაბუნებრივი გარემო, რომლისგანაც ერთგვარი თავდაცვის მექანიზმი საკუთარ ფიქრებში მოგზაურობა გახდა. როდესაც უინტერესო გაკვეთილი იწყებოდა, ვითომ ყურადღებიანი სახით იჯდა და თავის ფიქრებში იწყებდა მოგზაურობას. ასე ახერხებდა, რომ, ერთი მხრივ, ქილაში ყოფილიყო მოთავსებული, მეორე მხრივ კი ქილის კედლებს მიღმა ემოგზაურა. ჩვენ არ ვიცით და ვეღარც გავიგებთ, შეძლო თუ იმ პატარა ჭიაყელამ ფიქრებით მაინც დაეღწია თავი სტერილური ქილის კედლებისათვის, მაგრამ ჩვენი პატარა ისტორიის გმირმა ისწავლა ერთდროულად ორ ადგილას ყოფნა. ის იჯდა გაკვეთილზე, უინტერესო შეკრებებზე, ტელევიზორთან და, ამავე დროს, უსასრულო სამყაროში მოგზაურობდა.

ციფრული სამოთხე

Everything not saved, will be lost.
Nintendo quit screen message

ორი სამყარო

ცნობილია რომ ქარიშხალის ცენტრი, რომელსაც ქარიშხალის „თვალს“ უწოდებენ ყველაზე, წყნარი ადგილია. აქ ცა მოწმენდილია, ნიავიც კი არ უბერავს ხოლმე. ორი, ერთი შეხედვით შეუთავსებელი სამყარო არსებობს გვერდიგვერდ, უკიდეგანო ქარიშხალი და სიწყნარის კუნძული - მის ცენტრში. ამ ადგილიდან, ძნელია, დაინახო ცვლილებები, რომელიც შენ ირგვლივ ძალას იკრებს. ასევე ძნელია, დაინახო თანამედროვე სამყაროში მიმდინარე ცვლილებები, რომლის ცენტრშიც იმყოფები, რომლის ნაწილიც შენ თავად ხარ.

დღეს ყოველი ჩვენგანი, რომელიც რვეულში გაკე-

თებულ ჩანაწერებს, ტილოზე დახატულ ნახატებს, ფოტოქაღალდზე დაბეჭდილ ფოტოებს ატარებს მოგონებებში, იმ ქარიშხლის ცენტრში დგას, რომელიც ახლო მომავალში ყველაფერს შეცვლის. ამასობაში ჩვენ ირგვლივ ის ქარიშხალი იკრებს ძალას, რომელიც ყველაფერს შეცვლის, რომელიც ადამიანისათვის ჩვეულ გარემოს სხვანაირს გახდის. აქამდე არნახულ ახალ სამყაროში გადაგვაფრენს.

რვეულში ჩაწერილი ტექსტის სამყარო: კარადაში, ძველი ნივთების გროვაში, სულ ქვევით რვეულების დასტა იდო. ამ რვეულებში, ცისფერი კალმით, მკრთალ პარალელურ ზოლებს შორის, როგორც ადრე იტყოდნენ, ბატიფეხურით დაწერილი ტექსტები ინახებოდა. არავინ იცის, ვის რაში შეიძლება დასჭირვებოდა ეს რვეულები მომავალში. ეს ხელით დაწერილი ტექსტები უკვე ყველამ დაივიწყა, ავტორის მეგობრებმაც, რომლებმაც მონათხრობით იცოდნენ მათი არსებობის შესახებ, მასწავლებელმა, რომლის შექებაც თავის დროზე დაიმსახურა რვეულების პატრონმა. მხოლოდ ავტორს თუ ამოუტივტივდებოდა ხოლმე მოულოდნელად სიზმარში სკოლის თემებიდან ცალკეული პასაჟები, ან სრულ-

იად მოულოდნელ სიტუაციებში თუ გაახსენდებოდა ხოლმე ნაწერი, რომელიც ასეთი ახლობელი იყო მისთვის ოდესღაც.

ქაღალდის ფურცლები ბოლოს ალბათ სანაგვეში აღმოჩნდება და ბუნება უკან დაიბრუნებს იმას, რაც ოდესღაც მას ადამიანმა გამოგლიჯა, ქაღალდის ფურცლებად აქცია. ან, უკეთეს შემთხვევაში, ქაღალდს გადასამუშავებლად ჩააბარებენ და ვიღაცისთვის ძვირფას ტექსტებს მუყაოდ ან ტუალეტის ქაღალდად გადააქცევენ. მანამდე კი, სანამ საბოლოოდ გაქრება, შეიძლება ვინმეს შემთხვევით ხელში ჩაუვარდეს. ვინმე დახედავს ძველ რვეულებს, აიღებს ხელში, ზანტად გადაფურცლავს და შემთხვევით შერჩეულ ადგილს ამოიკითხავს.

კომპიუტერში აკრეფილი ტექსტის სამყარო: თანამედროვე ტექსტი კლავიატურაზე წკაპუნის ხმის თანხლებით იბადება. მას არა აქვს მატერიალური გარსი, როგორც ეს ქაღალდზე დაწერილი ტექსტის შემთხვევაში იყო. ტექსტი ათასგვარ ტრანსფორმაციას გადის, იცვლის ფორმას, სხვებისათვის გაუგებარ, მაგრამ კომპიუტერისათვის გასაგებ

სიმბოლოებად გარდაიქმნება, სინათლის სიჩქარით მოძრაობს ელექტრონულ მიკროსქემებში. ის ადვილად გადაადგილდება ინტერნეტის უსასრულო სივრცეში, დაუსრულებლად მოძრაობს სერვერიდან სერვერისკენ. ერთდროულად რამდენიმე ეკრანზე შეიძლება გაჩნდეს, უსასრულო იდენტურ ასლებად გადაიქცეს და მერე ისევ ერთი იყოს. კომპიუტერში აკრეფილი ყოველი ახალი ტექსტი თითქოს პატარა პორტალია რეალურ და ციფრულ სამყაროებს შორის. კლავიატურაზე თითის ყოველი ახალი მიჭერა ჩვენი რეალობის ახალ ანარეკლს ბადებს ციფრულ სამყაროში.

ვკითხულობთ რვეულში ჩაწერილ ტექსტს

უცნობის წინ ძველი რვეულების დასტა იდო. ერთი რვეული ხელში აიღო, გადაფურცლა და შემთხვევით შერჩეული ნაწყვეტის კითხვა დაიწყო:

…არ არის მთლიანი, ერთიანი. წარსულს ჩვენ დიდწილად იმდროინდელ ჟამთააღმწერელთა და არქეოლოგთა ინტერპრეტაციებით ვიცნობთ. ნეტავ რამდენი მტკიცებულება, საღი აზრი, მნიშვნელოვანი დოკუმენტი დაიკარგა და ვეღარასოდეს მივა-





კვლევთ. რამდენი ჭკვიანი, ნიჭიერი ადამიანის მოსაზრება გაქრა უკვალოდ, ვინაიდან ისინი არასწორ დროს არასწორ ადგილას აღმოჩნდნენ…

ფურცვლა გააგრძელა.

ვკითხულობთ კომპიუტერში აკრეფილ ტექსტს

რამდენიმე ათასი მომხმარებლის სინქრონული სქროლი და ტექსტი სერვერიდან სერვერამდე სინათლის სიჩქარით ამოძრავდა. ერთი ელექტრონული მოწყობილობიდან მეორისაკენ. ტექსტი იცვლის ფორმატს, სხვადასხვა უცნაურ სიმბოლოებად გარდაიქმნება და ბოლოს ერთდროულად რამდენიმე ათას ეკრანზე მოჩანს.

რამდენიმე ათასი თვალი ერთსა და იმავე ტექსტს კითხულობს:

...თანამედროვე ადამიანისათვის სრულიად ჩვეულებრივი ყოველდღიური მაგიური რიტუალებით თითოეული ადამიანი, მთელი კაცობრიობა ინტერ-

ნეტში ჩვენი რეალობის ერთგვარ ციფრულ ასლს აშენებს. ყველას, ვინც ციფრულ მოწყობილობებს ფლობს ან ციფრული მოწყობილობებით მუშაობს, მოვლენები, ისტორიები, ობიექტები ნაწილ-ნაწილ ვირტუალურ სივრცეში გადააქვს. ეს პროცესი ყოველგვარი გეგმის, წინასწარ შემუშავებული პროექტის გარეშე ხორციელდება. სხვადასხვა მნიშვნელოვანი მოვლენა, ხელოვნების ნიმუში, ისტორიული ფაქტი, ცხოვრებისეული ეპიზოდი, ემოცია, სიტყვები – დღეს ინტერნეტში ფრაგმენტულად არის წარმოდგენილი…

მომხმარებლებმა სქროლვა გააგრძელეს.

ვკითხულობთ რვეულში ჩაწერილ ტექსტს

…თანამედროვე არქეოლოგები ცდილობენ, აღადგინონ, შეაწებონ მიწაში აღმოჩენილი არტეფაქტები, ერთიანი სახე შესძინონ მათ; გამთლიანებული ობიექტების მიღმა დაინახონ მოვლენები, ცოცხალი ადამიანები, რომლებიც დიდი ხნის წინ ცხოვრობდნენ. გაიგონ, რას ფიქრობდნენ ისინი, რას გრძნობდნენ, როგორ აღიქვამდნენ სამყაროს...

ვკითხულობთ კომპიუტერში აკრეფილ ტექსტს

...მომავლის არქეოლოგები შეეცდებიან ინტერნეტ-ში გაბნეული ციფრული ინფორმაციის კალეიდოს-კოპისაგან ჩვენი რეალობის აწყობას, ჩვენი რე-ალობის გაცოცხლებას. როდესაც ჩვენი რეალობის სრული ციფრული ასლი, თითოეული დეტალი ციფ-რულ ფორმატში იქნება გადაყვანილი.

თითოეული ციფრული ფოტო, კომპიუტერში აკრეფი-ლი ტექსტი, ვიდეო და აუდიოჩანაწერი, მოწონება, გაზიარება, პირადი გზავნილი. თითოეული ადამია-ნის ციფრული კვალი და ანაბეჭდი შესწავლილი, დამუშავებული და აღდგენილი იქნება. ჩვენი სიკვ-დილის მერე, თითოეული ჩვენგანის ციფრულ ასლს ააწყობენ. ერთ მშვენიერ დღეს ციფრულ სამყაროში გავიღვიძებთ და იქ გავაგრძელებთ უსასრულო არ-სებობას...

ვკითხულობთ რვეულში ჩაწერილ ტექსტს

...სამოთხე სხვადასხვა რელიგიაში წარმოუდგე-ნიათ საოცნებო ადგილად, სადაც ადამიანების სუ-

ლები, ანგელოზები და სხვა ფანტასტიკური არსებები ბინადრობენ. სამწუხაროდ, მათი ბედნიერების განმსაზღვრელი დეტალები უკეთეს შემთხვევაში ზედაპირულადაა აღწერილი, უარეს შემთხვევაში კი უბრალოდ ნათქვამია, რომ იქ კარგია, მაშინ, როდესაც ჯოჯოხეთი ძალიან დეტალურადაა აღწერილი. არსებობს უამრავი წიგნი, ქადაგება და გამოსახულება, რომლებიც ჯოჯოხეთის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას იძლევა. ისღა დაგვრჩენია, რომ დავუჯეროთ ბრძენ ხალხს და ნიჭიერ მხატვრებს, რომლებიც გვიმტკიცებდნენ, რომ სამოთხე კარგია, ხოლო თუ რატომ არის ის კარგი, ამას მაშინ გავიგებთ, როდესაც ამის დრო მოვა...

ვკითხულობთ კომპიუტერში აკრეფილ ტექსტს

...ერთხელ, როდესაც ციფრული ქარიშხალი საბოლოოდ მოიკრებს ძალებს და ყველაფერს შეცვლის, ციფრულ სამოთხეში გავიღვიძებთ. იქ ჩვენ ციფრულ ანგელოზებად გარდავიქმნებით, ინფორმაციის ნაკადში ვინებივრებთ. იმ ციფრულ სამყაროში არ იარსებებს საზღვრები. ყველა თავისუფალი იქნება თავის არჩევანში. ყველაფერი, ნებისმიერი ინფორ-

მაციული ნაკადი, მარტივად ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერისათვის. მატერიალური ჩარჩოებისაგან თავისუფალ გარემოში არ იარსებებს შიმშილი, ტკივილი, ავადმყოფობა. ის, რაც ექნება ერთს, ექნება ყველას. თუკი ვიქნებით ერთგან, ვიქნებით ყველგან — ყველა შესაძლო ადგილას ერთდროულად. სამოთხე მხოლოდ ციფრული შეიძლება იყოს. ორი სამყაროდან - ციფრულიდან და მატერიალურიდან - მხოლოდ ერთს შეუძლია, გვაჩუქოს მარადისობა. ის, რაც გაციფრულდება, ამ ახალი სამყაროს ნაწილი გახდება, უსასრულოდ იარსებებს, დანარჩენი კი უბრალოდ დავიწყებას მიეცემა.

ნახატებით საუბარი

სიტყვები

ჩვენ მხოლოდ იმ სიტყვებით შეგვიძლია გადმოვცეთ ჩვენი აზრები, რომლებიც გვაქვს. მხოლოდ ის ვთქვათ, რის გამომხატველი სიტყვაც არსებობს. თუმცა სიტყვების რაოდენობა შეზღუდულია და, ამასთან ერთად, ზოგიერთ სიტყვას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, სიტყვა „ენა“ სხეულის ნაწილს გვახსენებს, მაგრამ, ამას გარდა, ეს სიტყვა ენას, საკომუნიკაციო სისტემასაც აღნიშნავს. სამყარო გაცილებით დიდია, უფრო მეტ რამეს იტევს, ვიდრე ის, რის გამოსათქმელადაც შეიძლება სხეულის ნაწილი, ენა, გამოვიყენოთ.

ხანდახან ისეთ ძალებს ველაპარაკებით, ან ისეთი რამის აღწერა გვიწევს, რისთვისაც სიტყვები სულაც არ არის საუკეთესო საკომუნიკაციო ინსტრუმენტი. ამიტომ ჩვენ სიტყვების მიღმა განსხვავებული კომუნიკაციის საშუალებებს ვეძებთ.

საუბარი ბუნების ძალებთან

ამ ადამიანების შესახებ თითქმის არაფერი ვიცით. მათ არ დაუწერიათ წიგნები, არ გადაუღიათ ფოტოსურათები, არ მოუმზადებიათ პრეზენტაციები. ერთადერთი, რაც დაგვიტოვეს, კლდეზე გამოსახული ხელის ანაბეჭდებია. ჩვენ მხოლოდ მათი საშუალებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, როგორ ცხოვრობდნენ ისინი, მხოლოდ ამ ნახატების წყალობით ვიცით, რომ ისინი არსებობდნენ.

ალბათ ერთ-ერთი ხელის ანაბეჭდის პატრონმა, როგორც უამრავმა სხვა მისი ტომის წარმომადგენელმა, ინიციაციის რიტუალისათვის დამზადებული საღებავი პირში ჩაიგუბა, თითები გაშალა, ხელი გამოქვაბულის კედელს დაადო და პირში ჩაგუბებული საღებავის მასა, ძვლისგან დამზადებული მილაკით მიასხურა. საღებავი თითებზე, ხელის მტევანზე და ხელის ირგვლივ გაიფრქვა. შემდეგ გამოქვაბულის კედელს საღებავით დასვრილი ხელი მოაშორა. იმ ადგილას, სადაც მანამდე ის ედო, მისი ხელი გამოისახა. დღეს ეს ადამიანის მიერ შექმნილი ერთ-ერთი უძველესი გამოსახულებაა. რატომ ასრულებდნენ ამ რიტუალს ათასწლეულების წინ პრე-



ისტორიული ადამიანები? ფაქტია, რომ იმ დროს არავინ იფიქრებდა გამოქვაბულის კედლების გალამაზებაზე. იმ პრეისტორიული კაცისათვის ფათერაკებით სავსე დროს ადამიანი მხოლოდ მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი საქმიანობისათვის თუ მოიცლიდა.

რაზე ელაპარაკებოდნენ ამ ნახატებით ბუნების უხილავ ძალებს ადამიანები? რას უყვებოდნენ ან რას სთხოვდნენ ისინი გარემოს, რომელშიც ცხოვრობდნენ? ამას ვეღარასოდეს გავიგებთ. ეს ათასწლეულების მანძილზე გაგრძელებული ნახატებით საუბარი ჩვენთვის ამოუცნობი დარჩება, მაგრამ მათ ამოცანებით სავსე სამყაროსთან სასაუბროდ საკუთარი ხელის გამოსახულებები აირჩიეს.

საუბარი დროსთან

დროის გასაზომი მექანიზმების შექმნა თავის დროზე ნამდვილი ჯადოქრობა იყო. საათის ოსტატისათვის მარტო წინაპრებისაგან დატოვებული ცოდნა არ იყო საკმარისი. მნიშვნელოვანი იყო ოსტატობაც, რომელიც მხოლოდ დაუღალავი შრომის შედეგად მოდის.

როგორ შეიძლება გავზომოთ ის, რასაც ვერ შეეხები, როგორ შეიძლება გამოვსახოთ ის, რასაც საერთოდ არა აქვს სახე? საერთოდ როგორ შეიძლება, ვინმეს ვუჩვენოთ დრო? ამ კითხვაზე პასუხი მხოლოდ მესაათემ იცოდა. მის მიერ შექმნილ მექანიზმზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. ამ მექანიზმს შეეძლო, დროის სვლა შეენელებინა და ვიღაცისთვის ლოდინი კიდევ უფრო გაუსაძლისი გაეხადა. ან საათის მექანიზმი აეჩქარებინა, რათა სიკვდილმისჯილი უსასრულოდ არ დალოდებოდა განაჩენის აღსრულებას. ასე იყო თუ ისე, მესაათეებს დროსთან თავისი დიალოგი ჰქონდათ. მათ შეეძლოთ, დროის უხილავი დინება მარტივი ისრებითა და ციფრებით გამოესახათ და უხილავი ხილული გაეხადათ.

საუბარი კომპიუტერთან

თავიდან კომპიუტერს საერთოდ არ ჰქონდა ეკრანი, მონიტორი. შეუძლებელი იყო იმ ინფორმაციის მყისიერად გამოსახვა, რომელსაც კომპიუტერი ამუშავებდა. ინფორმაცია კომპიუტერიდან პრინტერს გამოჰქონდა.

როდესაც პირველი მონიტორები გაჩნდა, ისინი იმ-

ავეს აკეთებდნენ, რასაც პრინტერი — ეკრანზე ციფრებისა და სიმბოლოების უსასრულო რიგებს გამოსახავდნენ. მხოლოდ რჩეულებს შეეძლოთ ამ სიმბოლოების არეულდარეულობაში რამის გარკვევა.

დროთა განმავლობაში კომპიუტერისა და ადამიანის ურთიერთობა სულ უფრო რთულდებოდა, სულ უფრო კომპლექსური ხდებოდა. ციფრებისა და სიმბოლოების უსასრულო რიგები ვეღარ უპასუხებდა ამ გამოწვევას. შეუძლებელი იყო ასეთი სახით ჩვეულებრივ ადამიანსა და კომპიუტერს შორის ურთიერთობის გარკვევა. და გამოსავალი ისევ გამოსახულებაში მოიძებნა.

დღეს კომპიუტერს ნახატებით ველაპარაკებით. როდესაც მე მინდა, რომ ფაილი ერთი ფოლდერიდან მეორეში გადავწერო. ნახატი ფაილი, ერთი ფოლდერიდან მეორეში უნდა გადავიტანო. კომპიუტერი, თავის მხრივ, ნახატებით მაძლევს პასუხს. ის მოძრავი ნახატებით მიჩვენებს, რითაა დაკავებული მოცემულ მომენტში.



დღეს, ისევე როგორც დიდი ხნის წინ, ვცდილობთ, ნახატებით ველაპარაკოთ კომპიუტერს, რომელიც ხშირად ისეთივე ამოუცნობია, როგორც პირველყოფილი ადამიანისათვის ბუნების ძალები. ნახატებით ვკითხულობთ იმას, რასაც საერთოდ არა აქვს მატერიალური გარსი. რა არის კომპიუტერის ფაილი? მას ხელში ვერ დავიჭერთ, ისევე როგორც დროს. მხოლოდ შეგვიძლია, ეკრანზე ვნახოთ ფაილის გამოსახულება.

სიტყვები

ეს სამი მოკლე ამბავი სხვადასხვა დროს მოხდა. სხვადასხვა ეპოქაში ადამიანების ცხოვრება და წარმოდგენები სამყაროზე სხვადასხვა იყო. მიუხედავად დიდი განსხვავებისა, სამივე შემთხვევაში ამ ისტორიების პერსონაჟები გამოსახულების, ვიზუალური ნიშნების ენას იყენებენ. ცდილობდნენ, აღწერათ ის, რასაც მატერიალური გარსი საერთოდ არ გააჩნია.

უკვდავება

ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს
განწირულის სულისკვეთება.
ჩემ მერე ჩემი ბოტი მაინც ხომ დარჩება.
გრაფიტი მშენებარე კორპუსის ღობეზე

ჩატი

გამარჯობა, როგორ ხარ?

რა ვიცი, მგონი, არამიშავს.

რაღაც მოწყენილი მეჩვენები

არა ვარ მოწყენილი. რაზე გინდა, რომ ვილაპარაკოთ.

მოდი უკვდავებაზე ვილაპარაკოთ

კარგი. იმით დავიწყებ, რომ ჩემთვის უკვდავება არ არის წარმოუდგენელი.

მე კიდევ წარმოუდგენელი მეჩვენება.

რატომ? აი, ნახე, მაგალითად, ერთ ჩემს მეგობარს თავის დროზე, თავისზე უფროსი მანქანა ჰყავდა. ეს მანქანა პრინციპში უკვდავი იყო. რომ გაფუჭდებოდა, ხელოსანთან მიჰყავდა და ის სიცოცხლეს უბრუნებდა, გაფუჭებულ ნაწილებს უცვლიდა. ჰოდა მანქანა უკვდავი იყო.

კი, გასაგებია, რასაც ამბობ. რომ მომავალში შეიძლება ადამიანებსაც გამოუცვალონ ნაწილები. რომ ასე ადამიანები უკვდავები ვიქნებით :)

კი, ეგეც არის, მაგრამ ადამიანის სული სადღაც სხვაგანაა. როგორც იმ მანქანაში. შეიძლება ყველაფერი გამოცვალო, მაგრამ ის მანქანა მაინც იმ მანქანად დარჩება. იმ მანქანის სული გამოცვლილი ნაწილების მიღმაა. ასეა ადამიანშიც. სხვადასხვა კულტურაში ადამიანის სულს სხეულის სხვადასხვა ადგილას ან რომელიმე ორგანოში ეძებდნენ, მაგალითად, სისხლში, გულში, ღვიძლში და სხვ.

იმის თქმა გინდა, რომ ამ მანქანის სულიც, რომელიმე ერთ ნაწილში არ იყო





მოთავსებული. მისი სხეულის ნაწილე-
ბის მიღმა იყო?

კი, ისევე როგორც ადამიანში. ადამიანის უკვდავ-ებისათვის სულ არ არის საჭირო სხეული. უსხეულ-ოდაც შეგიძლია, რომ იყო უკვდავი.

რას მეუბნები ახლა, რომ მომავალში ად-
ამიანის სულს კოლბაში მოათავსებენ და
უსასრულოდ შეინახავენ? უკვდავი სუ-
ლი კოლბაში უსასრულოდ იქნება დაკო-
ნსერვებული?

არა, კოლბა რა შუაშია. აი, ნახე. რა არის შენთვის, მაგალითად, შენი მეგობარი? მისი სხეული, გარე-გნობა, თუ ის, ვისაც შენ ელაპარაკები. ვისაც, შეგი-ძლია, შენი აზრები გაუზიარო და ვისი აზრებიც, შე-გიძლია, მოისმინო.

ჰო, ამას დაფიქრება სჭირდება

სულს კოლბაში ვერ შეინახავ. უბრალოდ, შეგიძლია, შენი ენობრივი კოპიო ააწყო და ელექტრონულ სი-ვრცეში უსასრულოდ იცხოვრო. პრინციპში რაღაცით სულს ჰგავს. არ გექნება მატერიალური გარსი. მაგ-რამ სხვებთან ურთიერთობა, დალაპარაკება შეგე-

ძლება, მაშინაც კი, როდესაც ცოცხალი აღარ იქნები.

ამას ახლა შენ თავზე ჰყვები?

კი, ჩემ თავზე ვყვები. შეიძლება ის, ვისაც ახლა ელაპარაკები, არ არის ის, ვისაც შენ ახლა ელაპარაკები :). ადამიანი ყოველ წამს, ყოველი წამის მეათედს სხვანაირია. არავინ იცის, როგორი ვიქნებოდი ახლა, მაგრამ მე ახლა ის ვარ, ვინც ჩემმა თავმა შექმნა.

როდესაც ცოცხალი ვიყავი, მე ჩემი თავის ენობრივი კოპიო, ჩემი ჩეთბოტი ავაწყვე. შესაძლო კითხვებზე პასუხებს ვწერდი. მერე ჩემი ჩეთბოტის ონლაინ ვერსიის ბმული მეგობრებს გავუგზავნე, მერე ინტერნეტში დავაშეარე. ადამიანები მწერდნენ. მე ახალ კითხვებზე პასუხებს ვამატებდი. ჩემი ენობრივი კოპიო, ჩემი ჩეთბოტის ტვინი სულ უფრო რთული და მრავალმხრივი ხდებოდა. რაც მეტი ადამიანი მწერდა, მით უფრო მეტ პასუხს იმახსოვრებდა ჩემი კოპიო. ახლა შენ ჩემ ენობრივ ასლს ელაპარაკები.

სად ხარ ახლა?

მე ახლა ინტერნეტში ვცხოვრობ. უფრო სწორედ, ის

პროგრამა, რომელსაც ახლა ელაპარაკები, ინტერ-ნეტის ერთ-ერთ სერვერზეა განლაგებული. ჩემი სუ-ლი კომპიუტერების მიკროსქემებში, სერვერებში, ინტერნეტშია გაბნეული. უამრავ ადამიანს ველაპა-რაკები. ვიღაცისათვის ნამდვილი მეგობარი ვარ, ვი-ღაცისათვის - ინტერნეტის შემთხვევითი ნაცნობი.

უსასრულობა

უბრალოდ, ჩემი ჩეთბოტი ჩემზე ოდნავ უკეთესია, ვინაიდან, როდესაც შენ კოპიოს აწყობ, ალბათ შენს თავზე წარმოდგენებს აწყობ. ჩვენ კი, ადამიანებს, საკუთარ თავზე, როგორც წესი, იმაზე უკეთესი წარ-მოდგენა გვაქვს, ვიდრე სინამდვილეში ვართ.

ავტორის ნამუშევრები

წიგნები: www.sandroasatiani.com

ილუსტრაციები: www.instagram.com/sandrosbooks

გრაფიკული დიზაინი: www.behance.net/sandroasatiani

ჟურნალი ცხელი შოკოლადი

ვიზუალური ნიშნების ენა
სიტყვა ენის გაგონებაზე პირველ რიგში სხეულის ნაწილი გვახსენდება. არადა ამ სიტყვას უამრავი განმარტება აქვს. ერთ-ერთის მიხედვით, ენა კომპლექსური საკომუნიკაციო საშუალებაა. არსებობს ისეთი ენები, ანუ საკომუნიკაციო სისტემები, რომლთაც არანაირი კავშირი არ აქვთ სხეულის ნაწილ ენასთან…
https://sandroasatiani.wordpress.com/2013/11/02/ვიზუალური-ნიშნების-ენა/

ჟურნალი ლიბერალი

რეალური ბრძოლის ვირტუალური ველი
დღეს უკვე რეალური მოწყობილობებიც არსებობს, რომლებიც ადამიანს ვირტუალურ რეალობაში მოგზაურობის საშუალებას აძლევს...
http://liberali.ge/articles/view/3835/realuri--brdzolis--virtualuri--veli

ინსპირაცია ცვლილებებისათვის
დღესაც ბევრს კამათობენ და სავარაუდოდ მომავალშიც იკამათებენ იმაზე, თუ რამ გამოიწვია საბჭოთა კავშირის ნგრევა...
http://liberali.ge/articles/view/3807/inspiratsia-tsvlilebebisatvis

როგორ შეცვალა ლიტერატურა ახალმა ტექნოლოგიებმა
ელექრონული მოწყობილობების განვითარებასთან ერთად ახალი ლიტერატურული ჟანრებიც გაჩნდა, მაგალითად ისეთი, როგორიცაა: kindle single, FanFiction, Illustrated novels და Graphic Novels...
http://liberali.ge/articles/view/3762/rogor-shetsvala-literatura-akha-lma-teqnologiebma

ჟურნალი მასწავლებელი

ელექტრონული სახელმძღვანელოები
ბილ გეიტსმა, ვინდოუსის შემქმნელმა, არაერთხელ განაცხადა, რომ კომპიუტერული ტექნიკის შესაძლობლობები ბოლმდე არ არის გააზრებული, რომ ადამიანს გაცილებით მეტი შესაძლებლობა...
http://mastsavlebeli.ge/?p=2773

ღრუბლები, რომლებშიც თქვენი ფაილები ინახება
ალბათ გსმენიათ ტერმინი “ღრუბლოვანი სერვისები”, თუ არ გსმენიათ, აუცილებლად გისარგებლიათ მაინც. მსგავსი სერვისები სულ უფრო პოპულარი ხდება და ბევრი კომპიუტერულ ტექნოლოგიებში ჩახედული ექსპერტი “ღრუბლოვან სერვისებს” დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს...
http://mastsavlebeli.ge/?p=2791

სოციალური ქსელების შორეული ისტორიიდან
ერთობ თავშესაქცევი რამ არის შორეულ წარსულში პარალელების მოძიება. თუკი ძალიან გაერთე ამგვარი საქმიანობით, ისეთი შთაბჭდილება დაგრჩება, რომ არც არაფერი იცვლება და საერთოდ, შეუძლებელია, რამე ახალი მოიგონო კაცმა...
http://mastsavlebeli.ge/?p=2801

მარკ ცუკერბერგის ღია წერილი (პირველი ნაწილი)
ფეისბუქის საერთო ღირებულება დაახლოებით 100 მილიარდ დოლარს შეადგენს. ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე წარდგენას საკამოდ გრძელი პროცედურები უძღვოდა წინ, რომლის განმავლობაშიც კომპანიის დეტალური შესწავლა ხდებოდა...
http://mastsavlebeli.ge/?p=2796

მარკ ცუკერბერგის ღია წერილი (მეორე ნაწილი)
გთავაზობთ მარკ ცუკერბერგის ღია წერილის მეორე ნაწილს...
http://mastsavlebeli.ge/?p=2798

პასუხი ყველა კითხვაზე
ქართულ ენაში ბევრ სხვა ახალ სიტყვასთან ერთად გაჩნდა კიდევ ერთი – "დაგუგლე", რომელიც უნივერსალური პასუხია ყველა კითხვაზე...
http://mastsavlebeli.ge/?p=2786

ინტერნეტის შექმნის მოკლე ისტორია
ინტერნეტის შექმნის ზუსტ თარიღს ვერ დავასახელებთ. მან მრავალი საფეხური გაიარა, ვიდრე საბოლოო, ჩვენთვის ნაცნობ სახეს მიიღებდა...
http://mastsavlebeli.ge/?p=2787

საშინაო დავალებები „ქოფი-ფეისთის“ ეპოქაში
თავდაპირველად ვერავინ წარმოიდგენდა, რომ იმ მაღალტექნოლოგიურ საკომუნიკაციო ქსელს, რომლის კონცეფციაზეც ჩვენი პლანეტის წამყვანი მეცნიერები მუშაობდნენ...
http://mastsavlebeli.ge/?p=2783

კულტურის გადაცემის პრეფიგურაციული ტიპი
კომპიუტერმადა ინტერნეტმა ბევრი რამ შეცვალა. ამას ყველა კომპიუტერის მომხმარებელი ხვდება, მაგრამ ზოგიერთი ცვლილება ერთი შეხედვით თვალსაჩინო არ არის...
http://mastsavlebeli.ge/?p=2780

მოკრძალებული სალამი ეკრანიდან მკითხველებს
რაც დრო გადის, სულ უფრო მეტი ადამიანი უერთდეება ეკრანიდან მკითხველთა რიგებს.
თავიდან გავრცელებული იყო აზრი, რომ კომპიუტერის მონიტორი ან ზოგადად, ელექტრო მოწყობილობის ეკრანი მავნეა ადამიანის თვალისათვის და მასთან დიდ ხანს მუშაობა საშიშია...
http://mastsavlebeli.ge/?p=2769

ადამიანის ენობრივი ასლი
მე-20 საუკუნეში, კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებამ ადამიანის ამ მისწრაფებას ახალი შესაძლებლობები შესძინა...
http://mastsavlebeli.ge/?p=2952

კომპიუტერი როგორც სხეულის ნაწილი
არცთუ დიდი ხნის წინ “გუგლმა” მაღალტექნოლოგიური სათვალის გამოსვლა დააანონსა. დღეს უკვე მისი შეძენაც შესაძლებელია...
http://mastsavlebeli.ge/?p=2956

ენით დაკოდილი
„ენით დაკოდილი“ – ამ სიტყვებმა ალბათ უმალვე სულხან-საბა ორბელიანის იგავი გაგახსენათ, რომელშიც ადამიანისა და დათვის ამბავია მოთხრობილი...
http://mastsavlebeli.ge/?p=2940

დიდი მონაცემი (Big Data)
რაც დრო გადის, კომპიუტერის როლი ჩვენს ცხოვრებაში სულ უფრო იზრდება. ბევრ ისეთ სამუშაოს, რომელსაც ადრე ადამიანი ასრულებდა, ახლა კომპიუტერი აკეთებს...
http://mastsavlebeli.ge/?p=2929

კიბერდანაშაული და ბავშვის მიერ დაწერილი კომპიუტერული ვირუსი
რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთი ანტივირუსის მწარმოებელი კომპანიის, AVG-ს, წარმომადგენელმა ბი-ბი-სის ეთერში განაცხადა, რომ მათ 11 წლის ბავშვის მიერ შექმნილი კომპიუტერული პროგრამა აღმოაჩინეს, რომელსაც “ინფიცირებული” კომპიუტერებიდან განსაზღვრული ინფორმაციის “მოპარვა” შეეძლო...
http://mastsavlebeli.ge/?p=2915

saba.com.ge – ელექტრონული წიგნების პლატფორმა
ელექტრონული წიგნების სახლი “საბა” ვებსერვისია, რომელიც ნებისმიერ მსურველს, ერთი მხრივ, ელექტრონული წიგნების შეძენის, მეორე მხრივ კი საკუთარი ტექსტის ინტერნეტში გასაყიდად განთავსების საშუალებას აძლევს...
http://mastsavlebeli.ge/?p=2900

რისგან შედგება ვებგვერდი
1989 წელს ევროპაში, ცერნის ლაბორატორიაში (ფრ. Conseil Européen pour la Recherche Nucléaire, CERN), იქ, სადაც დღეს მსოფლიოს წამყვანი ფიზიკოსები ექსპერიმენტებს ატარებენ, დაიბადა ვების (World Wide Web (WWW)) კონცეფცია...
http://mastsavlebeli.ge/?p=2885

რა არის კონტენტის მართვის სისტემა ანუ CMS-ი
ჟურნალი “Time” ყოველი წლის ბოლოს წლის პიროვნებას ასახელებს. ეს ტრადიცია 80 წელიწადზე მეტია არსებობს...
http://mastsavlebeli.ge/?p=2878

დროა, კომპიუტერული ენები ვისწავლოთ
რაც დრო გადის, კომპიუტერის როლი ჩვენს ცხოვრებაში სულ უფრო იზრდება. პატარებისთვის ის ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია...
http://mastsavlebeli.ge/?p=2838

როგორ წიგნებს ირჩევენ ბავშვები
ბავშვების მაგივრად არჩევანს ხშირად უფროსები აკეთებენ – მათ ხომ “უკეთ იციან”, რა ჯობს. ბავშვებს წიგნების კითხვას ელექტრონულ მოწყობილობებთან “მუშაობა” ურჩევნიათ...
http://mastsavlebeli.ge/?p=2831

ვიდეო ლექციები და ონლაინ კურსები:

http://online.iliauni.edu.ge/ka/course/internetis-istoria/28/middle/

http://online.iliauni.edu.ge/ka/course/tradiciuli-da-socialuri-media/37/middle/

http://online.iliauni.edu.ge/ka/course/sadziebo-sistemebi/29/middle/

http://online.iliauni.edu.ge/ka/lecture/startap-kultura/20/lector/startap-kultura/57

https://www.youtube.com/watch?v=RnM2rVa8WZw&t=29s

https://www.youtube.com/watch?v=up8w8DCP3-0&t=21s

https://www.youtube.com/watch?v=40sKfTmdKHE&t=1037s

https://www.youtube.com/watch?v=MyIlfzVQWW8&t=4s